



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030495878678518

№ 04-379/ო

25 / ივნისი / 2018 წ.

„საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 თქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ (შემდგომში-პროგრამა) გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებლების მიერ საინფორმაციო პორტალზე სამედიცინო მომსახურების ნუსხის განახლებისა და სატარიფო არეალების დაანგარიშების ოპტიმიზაციის მიზნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 19 ივნისის № 01/35743 წერილის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/წ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ზოგიერთი მომსახურების ღირებულების დაჯგუფების შესახებ“ სააგენტოს დირექტორის 2013 წლის 24 თქტომბრის N04-429/ო ბრძანებაში შეტანილ იქნეს ცვლილებები:

ა) პირველი მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ე“ ქვეპუნქტი, შემდეგი რედაქციით:

„ე) 2018 წლის 1 ივლისიდან გაცემული მატერიალიზებული ვაუჩერებისთვის, საინფორმაციო პორტალზე დადგენილების დანართი № 1.3-ის მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კომპიუტერული ტომოგრაფიული კვლევის მომსახურების წარმოდგენა და ჩარევების დაჯგუფება მოხდეს ამ ბრძანების N8 დანართით გათვალისწინებული წესით.“;

ბ) ბრძანებას დაემატოს N8 დანართი წინამდებარე ბრძანების დანართის სახით.

2. დაევალოთ:

ა) სააგენტოს ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (გ. გოგოლაძე), წინამდებარე ბრძანების გაგზავნა/გადაცემა საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტის, დირექტორის აპარატის, სააგენტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფილიალისა და სოციალური მომსახურების სამსახურე ცენტრებისათვის;

ბ) სააგენტოს დირექტორის აპარატს (ნ. ჩანადირი), ბრძანების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.ssa.gov.ge) განთავსება, საჯარო გაცნობის მიზნით;

გ) სააგენტოს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის მართვის დეპარტამენტს (მ. მაღლაკელიძე-ხომერიკი), ამ ბრძანების შესრულების კოორდინაცია.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე და მისი მოქმედება ვრცელდება 2017 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს
დირექტორი, საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის
მინისტრის მოადგილე



მიხეილ დუნდუა